ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ივნისი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.ა" და ,,ე.ე" ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ------- ივნისის №---------- ---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის ,,ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412767830) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის სატრანსპორტო ინსპექციის" მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება, გამოყენებულ იქნეს სამსახურებრივი ფუნქციის განხორციელებისათვის.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის ---- ივნისის
№ ------ განკარგულების დანართი

სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები

№	ავტომანქანის მარკა	ავტომანქანის ტიპი	ავტომანქანის მოდელი	ავტომანქანის ფერი	საიდენთიფიკაციო ნომერიWIN	რეგისტრაციის ნომერი	გამოშვების წელი	რეგისტრაციის თარიღი
1	OPEL	სედანი/ Sedan	VECTRA	ლურჯი	W0L0JBF1911029664	PP114MM	2000	06/03/2021
2	RENAULT	ჰეტჩბეკი/Hatchback	SANDERO	თეთრი	VF15SRA1464106667	MW690MM	2019	26/11/2019
3	RENAULT	ჰეტჩბეკი/Hatchback	SANDERO	თეთრი	VF15SRA1464106693	MW691MM	2019	26/11/2019
4	RENAULT	ჰეტჩბეკი/Hatchback	SANDERO	თეთრი	VF15SRA1464106694	MW692MM	2019	26/11/2019
5	RENAULT	ჰეტჩბეკი/Hatchback	SANDERO	თეთრი	VF15SRA1464106697	MW693MM	2019	26/11/2019

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს და მათი განხორციელების ძირითად ასპექტებს, ასევე განსაზღვრავს ქონებრივი საკითხების რეგულირების სამართლებრივ მექანიზმებს. მოცემული აქტით, მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა სათანადო განხორციელების მიზნით უფლებამოსილი არიან დააფუძნონ და მართონ კერძო სამართლის იურიდიული პირები და ამ მიზნით გადასცენ მათ ქონება, კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მოძრავი ქონება, კერძოდ 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება: 1. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლები: რეგისტრაციის ნომერი: PP114MM; სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი: 2021; რეგისტრაციის თარიღი: 06/03/2021; მარკა: OPEL; ტიპი: სედანი; მოდელი: VEDCTRA; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: W0L0JBF1911029664. 2. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლები: რეგისტრაციის ნომერი: MW693MM; სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი: 2019; რეგისტრაციის თარიღი: 26/11/2019; მარკა: RENAULT; ტიპი: ჰეტჩბეკი; მოდელი: SANDERO; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: VF15SRA1464106697. 3. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლები: რეგისტრაციის ნომერი: MW692MM; სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი: 2019; რეგისტრაციის თარიღი: 26/11/2019; მარკა: RENAULT; ტიპი: ჰეტჩბეკი; მოდელი: SANDERO; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: VF15SRA1464106694. . 4. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლები: რეგისტრაციის ნომერი: MW691MM; სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი: 2019; რეგისტრაციის თარიღი: 26/11/2019; მარკა: RENAULT; ტიპი: ჰეტჩბეკი; მოდელი: SANDERO; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: VF15SRA1464106693. 5. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლები: რეგისტრაციის ნომერი: MW690MM; სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი: 2019; რეგისტრაციის თარიღი: 26/11/2019; მარკა: RENAULT; ტიპი: ჰეტჩბეკი; მოდელი: SANDERO; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: VF15SRA1464106667). არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელება საჭიროებს თანამშრომლების მიერ ობიექტების მონახულებას და შესაბამის რეაგირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მოხდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება, სამსახურებრივი ფუნქციის განხორციელებაში ხელშეწყობის

მიზნით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, უსასყიდლოდ გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექცია".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანაწესების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი